

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 ივლისის N 21 ბრძანებით
დანართი 2

ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარება/განახლების მექანიზმები;

ამ დოკუმენტის შემუშავების მიზანია სტუდენტების და პერსონალის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების სრულყოფა და ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნა.

ბიბლიოთეკის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის ძირითადი პრინციპები

ბიბლიოთეკის მიზნები:

- კოლეჯის სტუდენტებისა და პერსონალის საინფორმაციო მოთხოვნების შესწავლა-ანალიზი, ამ მოთხოვნების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი მოქმედებების დაგეგმვა და განხორციელება;
- კოლეჯის ზოგადი და სპეციალიზებული საინფორმაციო რესურსებისა და მომსახურების განვითარება-განახლების პროგრამების/პროექტების შემუშავება და განხორციელება;
- კოლეჯში საინფორმაციო წიგნიერების განვითარება - ამ მიზნით სხვადასხვა პროგრამების/პროექტების შემუშავება და მათი განხორციელება.

ბიბლიოთეკის ფუნქციები:

- საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა საბიბლიოთეკო დოკუმენტებით;
 - სასწავლო გეგმებისა და სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი წიგნადი ფონდის, ინფორმაციის ვიდეო და ციფრული მატარებლის სახით ფორმირება და ორგანიზება;
 - სტუდენტებისა და პერსონალის საბიბლიოთეკო მომსახურება. მათი უზრუნველყოფა საჭირო ლიტერატურით;
 - საბიბლიოთეკო პრინციპით მოწესრიგებული კატალოგის (ქაღალდის ან ელექტრონულ მატარებელზე), ინვენტარის წიგნის სარეგისტრაციო ჟურნალის და მკითხველთა ბარათების გამოყენების ორგანიზება;
 - წიგნადი ფონდის პერიოდული შემოწმება და მისი მუდმივი განახლება;
 - საბიბლიოთეკო დოკუმენტაციის შენახვისათვის საჭირო პირობების შექმნა;
 - ბიბლიოთეკის აქტიურად ჩართვა კოლეჯში ჩასატარებელ კულტურულ ღონისძიებებსა თუ პრეზენტაციებში;
 - სასწავლო გეგმებისა და სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისად მოდულების მიხედვით კოლეჯის სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა;
 - თანამედროვე ავტომატიზირებული ელექტრონული სისტემების დანერგვა საბიბლიოთეკო საქმიანობაში, ინტერნეტის ქსელის გამოყენება მკითხველთა მომსახურებისა და საჭირო ლიტერატურის მოსაძიებლად.
 - მისი კომპეტენციის ფარგლებში სხვა მოქმედებების განხორციელება.
- ბიბლიოთეკის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:
- მომხმარებლებისთვის საბიბლიოთეკო ფონდების და მათ შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მომსახურების ოპერატიულობა და ხარისხი;

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

- მომხმარებლები ინტერესებისადმი პატივისცემა, მათი გათვალისწინება და კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა;
- სიახლეებისადმი ღიაობა და შესაბამისი ფონდების ფორმირება;
- ბიბლიოთეკის ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენება.

ბიბლიოთეკის რესურსების შევსება:

- საბიბლიოთეკო ფონდის საცავი;
- სამკითხველო დარბაზი;
- მკითხველთა სამუშაო ადგილი;
- კომპიუტერი;
- ასლგადამღები აპარატი;
- პრინტერი;
- წიგნადი ერთეული (მატერიალური სახით);
- საერთაშორისო საბიბლიოთეკო ფონდებთან წვდომა

მატერიალური და ელექტრონული ფონდების ფორმირება ხდება ერთობლივად ბიბლიოთეკისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ. ელექტრონული ფონდი აერთიანებს სახელმძღვანელოების, სასწავლო-მეთოდური მასალების და სხვ. ელ. ვერსიებს. ელექტრონული ფონდი მოიცავს ელ. მატარებლებზე არსებულ აუდიო და ვიდეო-მასალებს.

საბიბლიოთეკო-საინფორმაციო მომსახურება: საბიბლიოთეკო-საინფორმაციო მომსახურება უნდა იყოს ორიენტირებული საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობის თანამედროვე საინფორმაციო მომსახურებაზე და საინფორმაციო რესურსებთან ოპერატიული წვდომის უზრუნველყოფაზე;

გასატარებელი ღონისძიებები:

- სამკითხველო დარბაზში არსებული კომპიუტერული ტექნიკის ეტაპობრივი ზრდა;
- საბიბლიოთეკო ფონდის განახლება-შევსება;
- ელ. მატარებლებზე არსებული ფონდის ზრდა;
- ბიბლიოთეკის პოპულარიზაციის მიზნით სისტემატური შეხვედრების, გამოფენების (მათ შორის, ვირტუალური), თემატური განხილვების და სხვ. ორგანიზება;
- ბიბლიოთეკის საქმიანობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, მომხმარებელთა მომსახურების ახალ ფორმებზე გადასვლა.
- საგანმანათლებლო საქმიანობაში ბიბლიოთეკის შესაძლებლობების და რესურსების აქტიური გამოყენების ხელშეწყობა;

სტრატეგიული განვითარების გეგმის პრიორიტეტული მიმართულებები და ამოცანები:

ბიბლიოთეკის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას მომხმარებელთა აზრის შესწავლის მიზნით ჩატარდება შეხვედრები სტუდენტებთან და პერსონალთან. ბიბლიოთეკის არსებული მდგომარეობა და განვითარების შესაძლებლობები, მომხმარებლის გამოკითხვის შედეგებით განისაზღვრება ბიბლიოთეკის განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტები.

მოსალოდნელი შედეგები

- მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის გაზრდა;
- ბიბლიოთეკის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება;
- მომხმარებელთა ინფორმაციული კულტურის დონის გაზრდა;
- ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და სრულყოფა;
- ბიბლიოთეკის საქმიანობის განვითარება-სრულყოფა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების, კომპიუტერული და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენების მეშვეობით
- ბიბლიოთეკის მართვის მეთოდების სრულყოფა.